ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 2-7

3 თებერვალი

"---"-------- 2015 წ

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოებისა და თანამდებობათა დასახელებების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20–86 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" მე–20 მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოებისა და თანამდებობათა დასახელებების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20–86 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 05/01/2015 სარეგისტრაციო კოდი: 010250000.35.101.016083) და დადგენილების დანართის მე–7 სტრიქონით გათვალისწინებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსის პირველი მოადგილის თანამდებობრივი სარგო ნაცვლად 2600 ლარისა განისაზღვროს 2000 ლარით, დანართის შესაბამისად.

2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

დანართი

7	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსის პირველი მოადგილე	2 000

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოებისა და თანამდებობათა დასახელებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20–86 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

ა) საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:

საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღება განპირობებულია იმ ფაქტით, რომ დადგენილებაში არის ტექნიკური სახის შეცდომა, კერძოდ დადგენილების დანართიის მე–7 სტრიქონით გათვალისწინებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსის პირველის მოადგილის თანამდებობრივი სარგო ნაცვლად 2600 ლარისა უნდა იყოს 2000 ლარი.

ბ) პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

წარმოდგენილი პროექტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსის პირველის მოადგილის თანამდებობრივი სარგო ნაცვლად 2600 ლარისა განისაზღვრება 2000 ლარით.

გ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

დ) პროექტის ავტორი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ე) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.